



## ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიმსუბუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეთი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: [info@baltic.media](mailto:info@baltic.media).

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,  
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. National Geographic-ის ვებინარი ფოტოგრაფებისთვის
2. Thomson Reuters-ისონლაინ კონფერენცია ადამიანის უფლებების და ჟურნალისტიკის თემაზე
3. Thomson Reuters: ჟურნალისტიკა ვაქცინაციის სფეროში
4. ბორნმუტის უნივერსიტეტის მედიასკოლის ინტერაქტიული ისტორიების კონკურსი
5. სტიპენდიები რეპორტიორებისათვის
6. სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის ჰარვარდში
7. ჟურნალისტური კონკურსი
8. სტიპენდიები ჟურნალისტიკაში ინოვაციური მიდგომებისათვის
9. დოკუმენტური კინოს ფესტივალი
10. გახანგრძლივებული დედლაინი: სტენფორდის უნივერსიტეტის დემოკრატიის და განვითარების
11. სტენლის ცენტრი იღებს სინოფსისებს კორონავირუსით გამონეული პანდემიის თემაზე
12. ნაითის ცენტრი უძღვება ღია კურსს: სტრატეგია ონლაინ მიყურადების წინააღმდეგ
13. უფასო ღია კურსები OPEN Media Hub-საგან
14. ინგლისური ენის უფასო კურსი ჟურნალისტებისათვის
15. ონლაინ კურსები რუსულენოვანი ჟურნალისტებისათვის

## 1. National Geographic-ის ვებინარი ფოტოგრაფებისთვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

National Geographic უძღვება ონლაინ სემინარს "ობიექტივის მიღმა: Solastalgia" . დრო: 10 ნოემბერი, საღამოს 7 საათი ნიუ-იორკის დროით. მონაწილეობისათვის აუცილებელია რეგისტრაცია.

ფოტოგრაფი პიტ მიულერი ისაუბრებს სოლასტალგიის კონცეფციის შესახებ – ცნება რომელიც ასახავს ემოციურ და ექზისტენციურ სტრესს, გამონწვეულს გარემოს ცვლილებით.

მიულერი წარმოადგენს ფოტოებს, რომლებიც ასახავს კალიფორნიის გამანადგურებელი ხანძრის შედეგს, ასევე ნაწყვეტებს National Geographic-ის დოკუმენტური ფილმიდან "სამოთხის აღდგენა" (Rebuilding paradise).

**დანვრილებით:** <https://bit.ly/3mRHkBr>

## 2. Thomson Reuters-ის ონლაინ კონფერენცია ადამიანის უფლებების და ჟურნალისტიკის თემაზე

**გეოგრაფია** - მსოფლიო

Thomson Reuters ფონდი ორგანიზებას უწევს კონფერენციას (Trust Conference), რომელიც გაიმართება გრინვიჩის დროით 11 ნოემბერს დილის 9 საათიდან საღამოს 6:30-მდე.

ღონისძიება მოიცავს პანელ-დისკუსიებს, ჯგუფურ მუშაობას, დოკუმენტური ფილმების ჩვენებას. მონაწილეები განიხილავენ პანდემიის გავლენას ეკონომიკურ უთანაბრობაზე, თავისუფალი პრესის საფრთხეებს და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით გეგმებს პანდემიის შემდგომ მსოფლიოში.

უფასო რეგისტრაცია გრძელდება.

**დანვრილებით:** <http://www.trustconference.com/>

### 3. Thomson Reuters: ჟურნალისტიკა ვაქცინაციის სფეროში

**გეოგრაფია** - სომხეთი, საქართველო, მოლდოვა და აზერბაიჯანი

Thomson Reuters-ის ფონდი საბინის სახელობის ვაქცინის ინსტიტუტთან თანამშრომლობით იღებს განაცხადებს 8 დღიან ტრენინგზე თემაზე: „იმუნიზაციის და ვაქცინაციის თემების გაშუქება“. კურსი გაიმართება პარალელურ რეჟიმში ინგლისურსა და რუსულ ენებზე, 15 ვაკცინა ჯგუფებისათვის. პროგრამა დაფარავს იმუნიზაციის საკითხებთან დაკავშირებულ ფართო სპექტრს: ვაქცინის როლი საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში, COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის ახალი გამონკვევები. ; მედიის როლი საზოგადოების ინფორმირების კუთხით.

მონვეული არიან პირები, რომელთაც აინტერესებთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებით, მედიცინით და იმუნიზაციით. მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 2 წლიანი პროფესიული გამოცდილება და ინგლისური ან რუსული ენის ფლობის მაღალი დონე (შესაბამისი ჯგუფის მიხედვით).

**დანვრილებით:** <https://tmsnrt.rs/369KZUC>

**ვადა:** 22 ნოემბერი 2020 წ.

### 4. ბორნმუტის უნივერსიტეტის მედიასკოლის ინტერაქტიული ისტორიების კონკურსი

**გეოგრაფია** - მსოფლიო

ბორნმუტის უნივერსიტეტის მედიასკოლა იღებს განაცხადებს New Media Writing Prize-ზე.

კონკურსზე საკუთარი ინოვაციური მასალების წარდგენა შეუძლიათ სტუდენტებს, ბლოგერებს, მხატვრებს და მწერლებს.

მიიღება განაცხადები ინოვაციური და ინტერაქტიული სტორითელინგის ჟანრში, შესრულებული სპეციალურად პერსონალური კომპიუტერის ან ტელეფონის მეშვეობით წასაკითხად/სანახავად.

ეს შეიძლება იყოს, მოთხრობა, რომანი, დოკუმენტური ნაწარმოები, ვიდეო ან ანიმაცია აუდიტორიასთან ურთიერთქმედების შესაძლებლობით.

კონკურსის მთავარი გამარჯვებული მიიღებს 1 000 ფუნტს.

**დანვრილებით:** <https://newmediawritingprize.co.uk/>

**ვადა:** 27 ნოემბერი 2020 წ; სტუდენტური კატეგორია – 18 დეკემბერი 2020 წ.

## 5. სტიპენდიები რეპორტიორებისათვის

**გეოგრაფია** - განვითარებადი ქვეყნები

Heinz-Kühn-Foundation ახალგაზრდა ჟურნალისტებს სთავაზობს სტიპენდიებს რეპორტიორობის მიზნით 6 კვირიანი ან 3 თვიანი ვადით. პროგრამა მონაწილეს შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს სხვა ქვეყნების ტრადიციებს, ხედვებს. გაცვლით პროგრამაში ჩართვისთვის განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს განვითარებადი ქვეყნებიდან და გერმანიის ჩრდილოეთ რეინის მიწებიდან.

მიიღება განაცხადების 35 წლამდე ჟურნალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ გერმანულ ენას საბაზისო დონეზე. სტიპენდია გფარავს მგზავრობის, საცხოვრებლის ხარჯებს, საჭიროების შემთხვევაში გერმანული ენის კურსებს 4 თვემდე ვადით.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/328RBRB>

**ვადა:** 30 ნოემბერი 2020 წ.

## 6. სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის ჰარვარდში

**გეოგრაფია** - მსოფლიო

ნიმანის ფონდი <http://nieman.harvard.edu/> და ბერკმანის ცენტრი <http://cyber.law.harvard.edu/> იღებენ სტაჟიორებს, რომლებიც წლის განმავლობაში განახორციელებენ კვლევას ჟურნალისტიკაში ინოვაციების შესახებ.

აღნიშნული სტიპენდიის მისაღებად განაცხადების შეტანა შეუძლიათ საინფორმაციო სააგენტოების ჟურნალისტებს, რომელთა ნამუშევრები შეეხება ბიზნესს, ტექნოლოგიებს და ლიდერობას.

კანდიდატებმა უნდა წარადგინონ პროექტი, რომელიც შეეხება მედიის ციფრულ ფორმატში გადასვლას. მსგავსი პროექტების მაგალითად შეიძლება იქნეს განხილული წინადადებები ჟურნალისტიკისთვის შემოსავლების ახალი წყაროების შესახებ; ჟურნალისტებისთვის ახალი ინსტრუმენტების მოდელის შემუშავება და სხვა.

სტიპენდიანტების პროგრამაში ასევე შედის საცხოვრებელი ხარჯების დაფარვა, ბავშვის მოვლა და სამედიცინო დაზღვევა.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/33xSkgt>

**ვადა:** 1 დეკემბერი 2020 წ.

## 7. ჟურნალისტური კონკურსი

**გეოგრაფია** - ევროსაბჭოს ქვეყნები

European Press Prize მიზნად ისახავს კონტინენტზე ხარისხიანი ჟურნალისტიკის სტიმულირებას. 10 000 ევროს ოდენობის ჯილდო გაიცემა მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის შემდგომ ოთხ ნომინაციაში: ჟურნალისტური გამოძიება, გამორჩეული რეპორტაჟი, მოსაზრება და ინოვაცია. ასევე, გათვალისწინებულია ჟიურის სპეციალური პრიზი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ჟურნალისტებს რომლებიც მუშაობენ ევროპაში ან წერენ ევროპული გამოცემებისათვის. ქვეყნების ჩამონათვალი- <https://www.coe.int/en/web/portal/47-members-states>

მასალები უნდა იყოს წარმოდგენილი ორიგინალ ენაზე (სინოფსისი 250 სიტყვამდე) და უნდა იყოს გამოქვეყნებული ონლაინ ან ბეჭდურ მედიაში 201+ წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის დეკემბრამდე.

**დანვრილებით:** <https://www.europeanpressprize.com/>

**ვადა:** 11 დეკემბერი, 2020 წ.

## 8. სტიპენდიები ჟურნალისტიკაში ინოვაციური მიდგომებისათვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

რეინოლდის სახელობის ჟურნალისტიკის ინსტიტუტის სასტიპენდიო პროგრამა, იღებს განაცხადებს ჟურნალისტიკის თეორიის და პრაქტიკის ინოვაციური იდეების ავტორებისაგან.

ინსტიტუტი გთავაზობთ რეზიდენტულ და არარეზიდენტულ სტიპენდიებს და ასევე ორგანიზაციულ სტიპენდიებს. რეზიდენტული პროგრამის მონაწილეები 8 თვის განმავლობაში იცხოვრებენ სტუდენტურ ქალაქში, მისური, ამერიკა. მიიღებენ შესაძლებლობას ისარგებლონ ინსტიტუტის სასწავლო და ტექნიკური რესურსებით. სტიპენდიანტები ყოველთვიურად მიიღებენ 10 000 დოლარს და ასევე, ერთჯერადად ადაპტაციის ხარჯისთვის 10 000 დოლარს.

არარეზიდენტული სტიპენდიები განკუთვნილია ახალი ამბების ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის, ტექნოლოგიური და ამ სფეროსთან დაახლოებული კომპანიების თანამშრომლებისათვის, რომლებიც შეძლებენ საკუთარი იდეების განვითარების, მუშაობის პარალელურად. ასეთი სტიპენდიანტები მიიღებენ 20 000 დოლარს 8 თვის განმავლობაში.

20 000 დოლარის ოდენობის სტიპენდიას მიიღებენ ორგანიზაციებიც და შეძლებენ აღნიშნული თანხით გადაუხადონ ხელფასი ფრილანსერებს ან დროებით თანამშრომლებს, რომლებიც პროექტის განხორციელებაში იქნებიან ჩართული.

**დანვრილებით:** <https://www.rjionline.org/fellowships>

**ვადა:** 18 დეკემბერი, 2020 წ.



## 9. დოკუმენტური კინოს ფესტივალი

**გეოგრაფია:** სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა და სხვა ქვეყნები

გერმანული კინოინსტიტუტი იღებს განცხადებს ფესტივალისთვის GoEast, რომელიც გაიმართება 2021 წლის 20-დან 26 აპრილის ჩათვლით 2021 ვისბადენში, გერმანია. ფესტივალში ჩართვა შეუძლიათ სრულ და მოკლემეტრაჟიანი ფილმების ავტორებს. საკონკურსოდ მიიღება 2020–2021 წლებში შექმნილი დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, არანაკლებ 60 წუთის ხანგრძლივობისა. მიიღება ფილმები შექმნილი ორიგინალ ენაზე, ინგლისური სუბტიტრებით. გაიცემა პრიზები 4 000-დან 10 000 ევრომდე: საუკეთესო ფილმი, საუკეთესო რეჟისორი, კულტურული მრავალფეროვნება.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/3kY2Q73>

**ვადა:** 31 დეკემბერი, 2020 წ.

## 10. გახანგრძლივებული დედლაინი: სტენფორდის უნივერსიტეტის დემოკრატიის და განვითარების

**გეოგრაფია** - მსოფლიო

საკუთარი ქვეყნების ეკონომიკური და აპოლიტიკური განვითარების საკითხებზე სპეციალიზირებული ჟურნალისტებს შეუძლიათ წარადგინონ განაცხადი სტენფორდის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისათვის.

სამკვირიანი საზაფხულო სკოლა ეძღვნება დემოკრატიული განვითარების საკითხებს. (The Draper Hills Summer Fellowship on Democracy and Development). პროგრამის ფარგლებში შეივრდება სხვადასხვა სფეროს 25-30 წარმომადგენელი. მათ უნდა ჰქონდეთ პროფესიული კავშირი კანონის უზენაესობის, დემოკრატიის და განვითარების თემებთან. უპირატესობა მიენიჭებათ კანდიდატებს განვითარებადი ქვეყნებიდან.

პროგრამა შედგება 2021 წლის 18 ივლისიდან 6 აგვისტომდე, სტენფორდში, კალიფორნია.

უნივერსიტეტი დაფარავს მგზავრობის, საცხოვრებელ და ვიზის ხარჯებს.

**დანვრილებით:** <https://stanford.io/32do7SH>

**ვადა:** 11 იანვარი 2021 წ.

## 11. სტენლის ცენტრი იღებს სინოფსისებს კორონავირუსით გამონვეული პანდემიის თემაზე

**გეოგრაფია** - მსოფლიო

სტენლის მშვიდობისა და უსაფრთხოების ცენტრი იღებს მულტიმედია მასალების სინოფსისებს, რომლებიც ეძღვნება კორონავირუსით გამონვეულ პანდემიას. განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, ფრილანსერებს, ფოტოგრაფებს.

პროექტი დაინტერესებულია საგამოძიებო მასალებით და რეპორტაჟებით 800-დან 1 500-მდე (შეზღუდვა არ ეხება ფოტოებს). წარმოდგენილ სინოფსისებში ანალიზი უნდა ეყრდნობოდეს გაეროს სისტემას (გაეროს სისტემა შესაძლო დანაშაულის ანალიზისთვის) და ალექს ბელის მიერ ფორმულირებული მდგრადობის ამოღების ხუთ ფაქტორს.

**დანვრით:** <https://bit.ly/3kYIFqL>

**ვადა:** განაცხადები მიიღება სინოფსისების განსაზღვრული ლიმიტის შევსებამდე

## 12. ნაითის ცენტრი უძღვება ღია კურსს: სტრატეგია ონლაინ მიყურადების წინააღმდეგ

**გეოგრაფია** - მსოფლიო

ნაითის სახელობის ჟურნალისტიკის ცენტრი ამერიკაში და მისი მასობრივი ღია ონლაინ კურსების პროგრამა გათვალისწინებულია უფასო კურსს "ონლაინ მიყურადება: სტრატეგიები ჟურნალისტების დასაცავად". კურსი შედგება 16 ნოემბრიდან 13 დეკემბრამდე.

კურსი დაყოფილი ოთხ მოდულად და ეძღვნება შემდეგ თემებს: ონლაინ თვალთვალის ზოგადი ცნობები, პირადი ინფორმაციის ცნება, ტროლები და მათი სტრატეგიები, ციფრული უსაფრთხოების ზომები. კურსს უძღვება არბუ გეიბულა, ქეტრინ გიჩერუ, ელლა სტეპლი და მაირა აბდალლა.

ყველას, ვისაც აქვს ინტერნეტთან წვდომა შეუძლია აღნიშნული კურსის გავლა, ყოველკვირეული სავარჯიშოები ხელმისაწვდომია თქვენთვის ხელსაყრელ დროს. სერტიფიკატის ღირებულება შეადგენს 30 დოლარს.

**დანვრით:** <https://bit.ly/3oPIgIe>

რეგისტრაცია გრძელდება



## 13. უფასო ღია კურსები OPEN Media Hub-საგან

**გეოგრაფია** - ევროპული სამეზობლო ქვეყნები

OPEN Media Hub ევროპულ სამეზობლო ქვეყნებში მედიაპროფესიონალების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ჟურნალისტებს სთავაზობს ონლაინ კურსებს. აღნიშნული კურსების გავლა და სერტიფიკატის მიღება შეუძლიათ ჟურნალისტებს, რედაქტორებს, მენეჯერებს და სხვა მედიასპეციალისტებს.

კურსების თემები ფარავს: მედიამენჯმენტს, კონტენტის წარმოებას, ევროკავშირის შესახებ თემების გაშუქებას, და ა.შ. ყველა კურსი უფასოა და ხელმისაწვდომი, წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.

**დანვრილებით:** <https://openmediahub.com/ru/e-learning/>

## 14. ინგლისური ენის უფასო კურსი ჟურნალისტებისათვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

პენსილვანიის უნივერსიტეტი <http://www.upenn.edu/> გთავაზობთ მასობრივ ღია ონლაინ-კურსს «ინგლისური ჟურნალისტებისათვის», რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პლატფორმაზე Coursera 24 აგვისტოდან. რეგისტრაცია შეუძლია ყველა მსურველს.

კურსი შედგება ხუთი ნაწილისაგან და შემუშავებული აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ვერ ფლობენ ინგლისურს მშობლიური ენის დონეზე და არიან დაინტერესებული პროფესიული უნარების განვითარებაში.

კურსი გათვლილია დამოუკიდებელ სწავლაზე, საშუალო მოცულობა არის 42 საათი. რეგისტრაცია გრძელდება.

**დანვრილებით:** <https://www.coursera.org/learn/journalism>

## 15. ონლაინ კურსები რუსულენოვანი ჟურნალისტებისათვის

### გეოგრაფია - მსოფლიო

ორჰან ჯემალის სახელობის მედიაუსაფრთხოების აკადემიის ონლაინ კურსები შემუშავებულია პროფესიონალი და სამოქალაქო ჟურნალისტებისათვის, ფრილანსერებისათვის, ბლოგერებისა და ონლაინ აქტივისტებისათვის, რომლებიც იყენებენ რუსულს სამუშაო ენად. სწავლება უფასოა, საჭიროა მხოლოდ რეგისტრაცია.

აკადემიის 14 ტრენერი 9 ქვეყნიდან უძღვებიან შემდეგ ვიდეო კურსებს:

რისკების ანალიზი და სტრუქტურირებული ანალიტიკური ინსტრუმენტები

ძირითადი ფიზიკური უსაფრთხოება რისკის ზონაში

საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოება

ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოება, მუშაობა ტრავმით

იურიდიული დაცვა მედია რისკებისაგან

აკადემიის სტუდენტები, რომლებიც გაივლიან ყველა მოდულს და წარმატებით ჩააბარებენ ტესტს, მიიღებენ სერტიფიკატს ფონდისგან „სამართლიანობა ჟურნალისტებისათვის“

**დანვრლივით:** <https://jfj.academy/#about>

### © Baltic Centre for Media Excellence, 2020

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამშრომლობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

### შემდგენები:

ალინა რუდინა, არშალუსის მურადიანი, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიეკსი, ნაილია ალიევა, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამონურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

### ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

[nationalgeographic.org](http://nationalgeographic.org)  
[trustconference.com](http://trustconference.com)  
[trust.org](http://trust.org)  
[newmediawritingprize.co.uk](http://newmediawritingprize.co.uk)  
[heinz-kuehn-stiftung.de](http://heinz-kuehn-stiftung.de)  
[nieman.harvard.edu](http://nieman.harvard.edu)  
[europeanpressprize.com](http://europeanpressprize.com)  
[rjionline.org](http://rjionline.org)  
[filmfestival-goeast.de](http://filmfestival-goeast.de)  
[cddrl.fsi.stanford.edu](http://cddrl.fsi.stanford.edu)  
[stanleycenter.org](http://stanleycenter.org)  
[openmediahub.com](http://openmediahub.com)  
[journalismcourses.org](http://journalismcourses.org)  
[coursera.org](http://coursera.org)  
[jfj.academy](http://jfj.academy)